

საქართველოს კანონი

„წილის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების  
შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„წილის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 16, 26.09.96, გვ.11) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. წილისეულის ჯგუფები

ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუნქტურის გათვალისწინებით წილისეული იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად. სახელმწიფო მნიშვნელობის წილისეულის ჯგუფში ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის წილისეული და წილით სარგებლობის ობიექტები (საბადოები), რომელთა დამუშავებას სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ უკავშირდება გარკვეული სოციალური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას და განვითარებას. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წილისეულის ჯგუფების, აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის წილისეულისა და წილით სარგებლობის ობიექტების (საბადოების) ნუსხა მტკიცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.“.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი